საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 22/00 „14" 2010 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი
ილია ბოცირიძე
„13" 2010 წელი

ეგზ.N2

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში
საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
ფინანსური აუდიტის ჩატარების შესახებ

2010 წელი

თბილისი, 0144, ქეთევან წამებულის გამზ. 96
ტელ: +(995 32) 438-438; ფაქსი: +(995 32) 438-136; www.control.ge

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი ..... გვ 3

ნაწილი II – აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები ..... გვ 4

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი ..... გვ 4

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა ..... გვ 4

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა .....გვ 4

ბ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა ....გვ 7

გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა.....გვ 9

დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა .....გვ 9

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა .....გვ 9

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა ..... გვ 15

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი ..... გვ17.

ნაწილი I – შესავალი

თემატური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2010 წლის 4 მარტის N14/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის (ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტი) აუდიტორები რაინ ყუფუნია (ჯგუფის ხელმძღვანელი) და ირაკლი გოდუაძე.

აუდიტის პერიოდი - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური, კამერალური ანალიზი.

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0108 ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12 ტელ: 306261, 306025.

აუდიტი დაიწყო 2010 წლის 4 მარტს და დამთავრდა 2010 წლის 26 მარტს.

შემოკლებანი:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო – სამინისტრო;
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი – მინისტრი;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;
5. „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი – საბიუჯეტო კანონი;
6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ;
7. საქართველოს პრეზიდენტი - პრეზიდენტი;
8. საქართველოს მთავრობა - მთავრობა.

ნაწილი II. აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულების მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულმა ცვლილებებმა 9,1%-ით მეტი შეადგინა, ვიდრე ეს კანონით იყო განსაზღვრული..... გვ 5

2. 2009 წლის განმავლობაში, მხარჯავი დაწესებულების მიერ არ განხორციელებულა კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებათა სრული ინვენტარიზაცია, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეს წარმოადგენს ... გვ 15

ნაწილი III – ძირითადი ტექსტი

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა

1.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

ა) სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა

თვდაპირველი წლიური საბიუჯეტო კანონით, სამინისტროს ბიუჯეტი 66 722,2 ათასი ლარით განისაზღვრა. თუმცა, წლის განმავლობაში საბიუჯეტო კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად დამტკიცებულმა 55 908,8 ათასი ლარი შეადგინა.



წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგენილ იქნა, რომ 2009 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დამტკიცებული ბიუჯეტის 61-ჯერ დაზუსტებას. მათ შორის, სამინისტროს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებული ჰქონდა 37 ცვლილება. განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამინისტროს დაზუსტებულმა ასიგნებამ 66 291,0 ათასი ლარი შეადგინა, ანუ დამტკიცებულ ბიუჯეტზე 10 382,2 ათასი ლარით მეტი.

ყოველივე აღნიშნული, გრაფიკულად შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:



როგორც გრაფიკიდან ჩანს სხვაობა დაზუსტებულ ბიუჯეტსა და გადახდას შორის 3 007,4 ათასი ლარია, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 4,54%-ს შეადგენს. წარმოდგენილი ინფორმაციით, აღნიშნული გამოწვეული იყო 2009 წლის განმავლობაში წარმოქმნილი სხვადასხვა მიზეზებით (ტენდერის ჩაშლა, ვერ განხორციელდა იმ ოდენობის ღონისძიებები რაც იყო დაგეგმილიდა ა.შ.).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2009 წლის განმავლობაში მხარჯავი დაწესებულების მიერ საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის განხორციელებულმა ასიგნებების გადანაწილებამ დამტკიცებული ბიუჯეტის 19,1% შეადგინა, ანუ 9,1%-ით მეტი, ვიდრე ეს კანონით იყო განსაზღვრული[1]. აღნიშნული გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის 2009 წლის 27 აგვისტოს N635 და 18 სექტემბრის N684 განკარგულებებით, რომელთა საფუძველზეც სამინისტროს დაევალა 2009 წლის რთველის ღონისძიებათა წარმატებით განხორ-ციელების მიზნით განეხორციელებინა შპს „რთველი 2008-თვის" და სს „აკურასთვის" საწესდებო კაპიტალის გაზრდა, საერთო ჯამში 13 200,0 ათასი ლარით. შესაბამისად, 2009 წლის პირველი სექტემბრის N475 და 22 სექტემბრის N512 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობებით, 5 000,0 და 8 200,0 ათასი ლარი სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის" კოდიდან გადატანილ იქნა სსიპ „საწარმოთა მართვის" კოდში.

გადასახდელების სახეების მიხედვით, ასიგნებათა შესრულების ანალიზით დადგინდა:

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა და გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (4-3)	ათვისება % (3/2*100)
1	2	3	4	5	6

[1] არ არის დაცული „საბიუჯეტო სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის 51³ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნა.

ხარჯები	26,543.80	24,081.00	23,765.10	-315.90	90.7
შრომის ანაზღაურება	*9,793.20*	*9,765.30*	*9,765.90*	*0.60*	*99.7*
საქონელი და მომსახურება	*13,853.70*	*12,345.20*	*11,860.60*	*-484.60*	*89.1*
სუბსიდიები	*1,455.00*	*1,379.30*	*1,547.40*	*168.10*	*94.8*
სოციალური უზრუნველყოფა	*203.80*	*167.00*	*167.00*	*0.00*	*81.9*
სხვა ხარჯები	*1,238.10*	*424.20*	*424.20*	*0.00*	*34.3*
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,110.70	6,013.30	-	-	98.4
ფინანსური აქტივების ზრდა	33,636.50	33,189.30	-	-	98.7

შენიშვნა:

1. „საქონლისა და მომსახურების" მუხლში საკასო ხარჯის მეტობა ფაქტობრივ ხარჯზე 484,6 ათასი ლარით, გამოწვეულია „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების" ქვემუხლში გასული წლის დავალიანების გასტუმრებით - 0,4 ათასი ლარი, „მივლინების" ქვემუხლში ავანსად გაცემული თანხებით - 29,6 ათასი ლარი, 327,0 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის საქონლის მარაგში აღებით და წინასწარ გაწეული ხარჯებით - 127,6 ათასი ლარით;

2. „სუბსიდიების" მუხლში ფაქტობრივი ხარჯის მეტობა საკასო ხარჯზე 168,1 ათასი ლარით, გამოწვეულია ავანსად გაცემული თანხების ჩამოწერით;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2009 წლის განმავლობაში სამინისტროს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 2 700,0 ათასი ლარი, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 682,16 ათასი ლარი და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 7 000,0 ათასი ლარი. კერძოდ:

1. სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსათვის", მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების ჯეროვანი და შეუფერხებელი

შესრულების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან (პრეზიდენტის 2009 წლის 13 მარტის, 31 ივლისის და 24 აგვისტოს N185, 524 და 596 განკარგულებები) როგორც გამოყოფილმა, ისე ათვისებულმა თანხამ 2 200,0 ათასი ლარი შეადგინა;

2. სსიპ „ბორჯომის ცენტრალური (ისტორიული) პარკის აღდგენისა და განვითარების ფონდისათვის", მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების ჯეროვანი და შეუფერხებელი შესრულების მიზნით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან (პრეზიდენტის 2009 წლის 20 თებერვლის N123 განკარგულება) გამოყოფილი იყო 500,0 ათასი ლარი, რაც სრულადაა ათვისებული;

3. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიების გაცემასთან დაკავშირებით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (2009 წლის 10 თებერვლის N76 განკარგულება) როგორც გამოყოფილ ისე ათვისებულ იქნა 0,6 ათასი ლარი;

4. საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის გამართული საქმიანობისათვის აუცილებელი ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (მთავრობის 2009 წლის 8 ივლისის და 4 ნოემბრის N483 და N829 განკარგულებები) გამოყოფილმა თანხამ 100,5 ათასი ლარი, ხოლო ათვისებულმა - 99,27 ათასი ლარი შეადგინა;

5. მიმდინარე ტურისტულ სეზონზე ქვეყანაში ტურისტების მოზიდვის მიზნით საიმიჯო კლიპის გადაღებისა და მსოფლიო წამყვან ტელეარხებზე გაშუქებისათვის, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (2009 წლის 14 ივლისის N504 განკარგულება) როგორც გამოყოფილმა, ისე ათვისებულმა თანხამ 426,06 ათასი ლარი შეადგინა;

6. სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოსათვის", სახელმწიფო ქონების ბაზაზე სახელმწიფო 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „მექანიზატორის" კაპიტალის გაზრდის მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან (2009 წლის 29 დეკემბრის განკარგულება) გამოყოფილია 155,0 ათასი ლარი.

7. 2009 წლის რთველის ხელშეწყობის ღონისძიებათა წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (საქართველოს მთავრობის 2009 წლის 10 სექტემბრის N665 განკარგულება) 7 000,0 ათასი ლარი გამოეყო სსიპ ,,საწარმოთა მართვის სააგენტოს" საწარმოების შპს „რთველი 2008" და სს „აკურა"-ს კაპიტალის გასაზრდელად.

გ) გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ სამინისტროს (სტატისტიკის დეპარტამენტი) მიერ 2009 წლის განმავლობაში, გრანტის სახით მიღებული აქვს 748,1 ათასი ლარი. კერძოდ, ფონდი ,,ათასწლეულის გამოწვევა საქართველოდან" – 610,6 ათასი ლარი და ევროკომისიისგან - 137,5 ათასი ლარი. ამავე დროს, 2009 წლის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა 334,2 ათასი ლარი. შედეგად, სულ 2009 წლის განმავლობაში ხარჯთაღრიცხვებით დამტკიცებულმა მოცულობამ 1 082,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც სრულად იქნა ასახული სამინისტროს ანგარიშგებაში.

ხარჯთაღრიცხვის ცნობებით გაირკვა, რომ 2009 წლის განმავლობაში სულ ათვისებულ იქნა 789,0 ათასი ლარი, რაც ასევე სრულად იქნა ასახული ნაერთ ანგარიშგებაში.

დ) დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდომარეობა და რეალობა

განხილულია მე-2 საკითში.

1.2. რეკომენდაციები:

1. სამინისტრომ მისთვის გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის მოახდინოს „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით" დადგენილი პროცენტული ოდენობის ფარგლებში;

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

2.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

საანალიზო პერიოდში, სამინისტროს ბუღალტრული ანგარიშგება სახაზინო სამსახურში წარდგენილი ჰქონდა ვადების დაცვით. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, 2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მხარჯავი დაწესებულების საბალანსო ანგარიშგებას შემდეგი სახე აქვს:

საბალანსო ანგარიშგება 2010 წლის 1 იანვრისათვის

	ა/გ შენიშვნები	31.12.2008	31.12.2009
არაფინანსური აქტივები			
წარმოებული აქტივები			
ძირითადი აქტივები	1	28,309,145.00	45,683,671.00
მატერიალური მარაგები		1,615,757.00	1,902,885.00
ფასეულობები		15,195.00	15,167.00
სულ წარმოებული აქტივები		**29,940,097.00**	**47,601,723.00**
არაწარმოებული აქტივები			
მიწა		53,875.00	45,639.00
სულ არაწარმოებული აქტივები		**53,875.00**	**45,639.00**
სხვა დებიტორული დავალიანებები	2		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		1,619,331.00	1,518,050.00
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ		52,897.00	88,209.00
საგადასახადო მოთხოვნები		38,582.00	45,560.00
სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები		3,107,699.00	3,561,876.00
სულ სხვა დებიტორული დავალიანებები		**4,818,509.00**	**5,213,695.00**
ფინანსური აქტივები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში		372	674
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ბანკში		97,839.00	150,230.00
სავალუტო ანგარიში ბანკში		20,590.00	24,831.00
სხვა ანგარიშები ბანკში		210,499.00	210,601.00

სხვა ანგარიშები ხაზინაში		338,531.00	712,672.00
სულ ფინანსური აქტივები		**667,831.00**	**1,099,008.00**
სულ აქტივები		**35,480,312.00**	**53,960,065.00**
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		30,208,064.00	48,723,016.00
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი			
გაუნაწილებელი მოგება		143,697.00	146,184.00
დაუფარავი ზარალი		66,531.00	61,725.00
სულ კაპიტალი		**30,285,230.00**	**48,807,475.00**
სხვა კრედიტორული დავალიანებები	3		
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან		395,856.00	357,532.00
საგადასახადო და ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები		158,221.00	159,907.00
მომუშავეებთან და სტიპენდიანტებთან დაკავშირებული ვალდებულებები		1,222,869.00	1,218,873.00
სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები		3,418,136.00	3,416,278.00
ფულადი და სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით ვალდებულებები			
სულ სხვა კრედიტორული დავალიანებები		**5,195,082.00**	**5,152,590.00**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**35,480,312.00**	**53,960,065.00**

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები საბალანსო ანგარიშგებასთან დაკავშირებით:

N1 - ძირითადი აქტივები:

	შენობა-ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	სხვა ძირითადი აქტივები	სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივები	სულ
ნაშთი 31/12/2008	17,864,678	2,104,880	2,723,114	1,467,186	4,149,287	28,309,145
მატება						
შესყიდული	4,532,374	185,218	795,305	164,046		5,676,943

იმავე დონის სახემწიფო ერთეულიდან	10,381,464	169,336	906,598		8,803,380	20,260,778
უსასყიდლოდ გრანტებით			5,530			5,530
სხვა ეკონომიკური ნაკადებით			136,716			136,716
საკუთარი სახსრებით		26,750				26,750
გასვლა						
იმავე დონის სახემწიფო ერთეულზე	6,052,405	9,2270	432,425	385,545		6,919,602
უსასყიდლოდ სხვა ხარჯებით			36,190			36,190
სხვა ეკონომიკური ნაკადებით	14,482	71,886	1,497			87,865
საკუთარი სახსრებით		10,000				10,000
ცვეთა	467,220	329,896	690,768	190,650		1,678,534
ნაშთი 31/12/2009	26,244,409	2,025,175	3,406,383	1,055,037	12,952,667	45,683,671

2009 წლის განმავლობაში სამინისტროს სხვა ეკონომიკური ნაკადების სახით 136,7 ათასი ლარის სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი აქვს მიღებული. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ეს თანხა წარმოადგენს იმ ზედმეტად არსებული აქტივების ღირებულებას, რომელიც სსიპ „საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად იქნა გამოვლენილი და შესაბამისად, ბალანსზე აყვანილი. ამასთან, სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ საკუთარი სახსრებით შეძენილია ავტომანქანა ღირებულებით 26.8 ათასი ლარი.

რაც შეეხება სხვა ეკონომიკური ნაკადების სახით აქტივების გასვლას, მან 87,9 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ, სამინისტროს აპარატის მიერ აუქციონის წესით პრივატიზებულია 71,9 ათასი ლარის ავტომანქანები, ასევე სსიპ „საქართველოს

სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს“ 3,6 ათასი ლარის შენობა-ნაგებობები. ამასთან, სსიპ „ტექნიკური ზედამხედველობის სახემწიფო ინსპექციას“ ჩამოეწერა ბალანსზე არსებული 1,5 ათასი ლარის მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, ხოლო 10,9 ათასი ლარის ღირებულების უზუფრუქტის ფორმით აღებული შენობა-ნაგებობა დაბრუნებულ იქნა უკან ქ. ბათუმის მერიისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართ ფორმა N5 - ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ) არასწორადაა ასახული სატრანსპორტო საშუალებების „საკუთარი სახსრებით“ როგორც მიღება, ასევე გასვლა, ვინაიდან ამ მუხლებში უნდა აისახოს არა საკუთარი სახსრებით შეძენილი/გაყიდული ქონება, არამედ შექმნილი ქონება.

N2 - სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები:

2009 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ერიცხებოდა 4 818,5 ათასი ლარის სხვადასხვა დებიტორული დავალიანებები. წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ 2009 წელს დებიტორული დავალიანება გაზრდილი იქნა 395,2 ათასი ლარით და წლის ბოლოსათვის დავალიანების ნაშთმა 5 213,7 ათასი ლარი შეადგინა. წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა დებიტორული დავალიანების როგორც გაზრდის, ისევე შემცირების ფაქტებს. კერძოდ, სამინისტროს აპარატის დავალიანება შემცირებულ იქნა 166,2 ათასი ლარით, სტატისტიკის დეპარტამენტის - 1,2 ათასი ლარით, სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოსი - 207,9 ათასი ლარით ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის და სსიპ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტის სააგენტოსი პირიქით გაზრდილ იქნა შესაბამისად 16,6 ათასი, 615,1 ათასი და 26,5 ათასი ლარით. აუდიტით ასევე დადგინდა, რომ სამინისტროს მიერ სრულად არ

ხორციელდება დებიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია, რაც შიდა კონტროლის სისტემის სისუსტეს წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამინისტროს მიერ არ ხორციელდება საკმარისი ღონისძიებები დებიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად.



N3 - სხვადასხვა კრედიტორული დავალიანებები:

წლის დასაწყისში კრედიტორული დავალიანების სახით, სამინისტროს ბალანსზე ერიცხებოდა 5 195,1 ათასი ლარი, რაც წლის განმავლობაში გაიზარადა 42,5 ათასი ლარით და 2009 წლის 31 დეკემბრისთვსი დავალიანების ნაშთმა 5 152,6 ათასი ლარი შეადგინა. წარმოდგენილი ინფორმაციით გაირკვა, რომ ისევე როგორც დებიტორული დავალიანების შემთხვევაში წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა კრედიტორული დავალიანების როგორც გაზრდას ისევე შემცირებას. კერძოდ, საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს, სტატისტიკის დეპარტამენტის, სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის დავალიენებები შემცირებულია შესაბამისად 7,6 ათასი, 32,4 ათასი და 8,0 ათასი ლარით, ხოლო სსიპ სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტის სააგენტოსი კი გაზრდილია 5,6 ათასი ლარით და წლის ბოლოსთვის დავალიანების ნაშთმა



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამინისტროს წლის განმავლობაში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის მიზნით სრულად არც კრედიტორულ დავალიანებათა ინვენტარიზაცია[2] ჩაუტარებია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, შიდა კონტროლის არსებით სისუსტეზე მიუთითებს. სამინისტროს მიერ არც კრედიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად ხორციელდება საკმარისი ღონისძიებები.

2.2. რეკომენდაციები:

1. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის მიზნით, სამინისტრომ ყოველწლიურად მოახდინოს კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებათა სრული ინვენტარიზაცია;

2. სამინისტრომ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებათა შესამცირებლად;

3. ანგარიშგებაში სწორად იყნეს ასახული სატრანსპორტო საშუალებების როგორც გაყიდვა, ასევე შესყიდვა.

[2] არ იქნა დაცული საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-13 მუხლის მოთხოვნები.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდომარეობა

3.1. დადგენილი გარემოებები და მათი შეფასება:

პრიორიტეტი ეკონომიკური პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია, სტატისტიკური კვლევები. აღნიშნული პრიორიტეტის გათვალისწინებით სამინისტროს უნდა უზრუნველეყო მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, რომ მოსახლეობის საყოველთაო აღწერა 2010 წლისთვის ვერ განხორციელდებოდა, რის გამოც მომზადდა საქართველოს მოსახლეობისა და საცხოვრისების 2010 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის 2011 წელში გადავადების ბრძანებულების პროექტი.

პრიორიტეტი კერძო სამეწარმეო სექტორის ხელშეწყობა, სახელმწიფო ქონების პრივატიზება. საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" 2009 წლის 30 დეკემბრის საქართველოს კანონით „სახელმწიფო პროგრამა „იაფი კრედიტის" ფარგლებში გასაცემი კრედიტის მოცულობა დამტკიცებული იყო 20 000 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პროგრამის ფარგლებში დამტკიცდა 17 პროექტი და გაცემულ იქნა კრედიტი 2 494.5 ათასი ლარის მოცულობით (დამტკიცებული მოცულობის 12.5%), რაც აისახა კიდევაც 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში 2009 წლის 4 დეკემბერს შეტანილი ცვლილებით.

3.2. რეკომენდაციები:

სამინისტრომ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების მოთოვნათა შესრულებას, რის განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური და სხვა სფეროების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციით საზოგადოებისა და

ხელისუფლების უზრუნველყოფა. საერთაშორისო დონეზე საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, იმიჯის გაუმჯობესება, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდა, კურორტებისა და სარეკრეაციო ზონების გეგმაზომიერი განვითარება და ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

IV. აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის
(ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტი) აუდიტორები:

ჯგუფის ხელმძღვანელი
რაინ ყუფუნია

ხელმოწერა 11. 05. 10 თარიღი

ირაკლი გოდუაძე

ხელმოწერა 11/05/10 თარიღი